პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 1949 წ. № 67 (8370). ფასი 20 კაპ.

კონსულტანტი

ბოლშევიკების პარტია თავის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად კომუნისტების პოლიტიკური განათლებისათვის შეუნელებელ ზრუნვას სახავს. კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა, წარმატებით ასრულებს რა მეოთხე სტალინურ ხუთწლიან გეგმას, ძლევამოსილად მიემართება წინ კომუნიზმისაკენ. ჩვენი წინსვლის ტემპი ახლა დამოკიდებულია კომუნიზმის მშენებელთა, პირველ რიგში კომუნისტების, პოლიტიკური შეგნების დონეზე, საზოგადოებრივი განვითარების კანონების, ჩვენი პარტიის პოლიტიკის ღრმა ცოდნაზე.

ამ ამოცანის სრული შეგნებით მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების პოლიტიკური განათლების საკითხებზე. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეები, პოლიტსკოლები, პარტიული სკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები ჩვენი კადრების, კომუნისტების თეორიული დონის ამაღლებას ემსახურებიან. მაგრამ როგორც ცნობილია, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა იყო და კვლავ რჩება მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის ძირითად მეთოდად. ათასობით კომუნისტი ეუფლება ამ გზით მარქსიზმ-ლენინიზმს. პარტიული ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დამოუკიდებლად მუშაობის საქმეს, გაძლიერდა დახმარება და კონტროლი თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისადმი, ეწყობა ლექციები, მოხსენებები, მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია სემინარები. მოწინავე პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარებისა და კონტროლის შესანიშნავი ფორმაა კონსულტაციები — ჯგუფური და ინდივიდუალური. კონსულტანტები, რომლებიც შერჩეული არიან უმრავლეს პარტიულ ორგანიზაციებში, უაღრესად სასარგებლო დახმარებას უწევენ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს. ისინი არკვევენ, როგორ ითვისებს ესა თუ ის კომუნისტი ნაწარმოებს, საჭირო განმარტებას აძლევენ თემის საკვანძო საკითხებზე, ეხმარებიან დამოუკიდებელი სწავლების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში, კონსპექტების ჩამოყალიბებაში, უნერგავენ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის სიყვარულს.

კომუნისტების თვითგანათლების საკითხებზე კარგად მუშაობენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, საელმავლო დეპოს, ავტოსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციები. დამახასიათებელია, რომ ისინი სერიოზულ ყურადღებას აქცევენ კონსულტანტების მუშაობას. ცოტა მუშაობას როდი ეწევა ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს თეორიის დაუფლებაში ნამდვილად ეხმარებოდნენ კონსულტანტები. პარტიის ზუგდიდის რაიკომი, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინებით, მთავარ ყურადღებას უთმობს ინდივიდუალურ კონსულტაციას.

ყველა პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ როდი აფასებს კონსულტაციების მნიშვნელობას, მის როლს თეორიის შესწავლის საქმეში, საჭირო დახმარებას არ უწევს კონსულტანტებს, არ ზრუნავს იმისათვის, რომ კონსულტანტის მუშაობა მაღალ იდეურ დონეზე იდგეს და იგი ნამდვილად ეხმარებოდეს კომუნისტებს თეორიისადმი სიყვარულის გაღრმავებაში, საჭირო მეთოდურ დახმარებას უწევდეს მათ.

კონსულტანტს მხოლოდ მაშინ მოაქვს სარგებლობა დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისათვის, თუ იგი გეგმაშეწონილად, მოფიქრებულად და სისტემატურად მუშაობს, კარგად ითვალისწინებს თვითეულის ცოდნის დონეს, ინტერესს, მოთხოვნილებას, როცა მას თავისი ჯგუფის ყოველი კომუნისტი ყურადღების ცენტრში ჰყავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თვით კონსულტანტთა კადრის შერჩევა. კონსულტანტი მოწოდებულია დაეხმაროს თეორიაში ასე თუ ისე გათვითცნობიერებულ ამხანაგებს, იმ ადამიანებს, რომლებსაც დამოუკიდებლად მუშაობა შეუძლიათ. ამიტომ კონსულტანტებად უნდა მუშაობდნენ თეორიულად ყველაზე მომზადებული ამხანაგები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კონსულტანტი არ მოითხოვს პარტიული ორგანიზაციის დახმარებას. პირიქით, საჭიროა ყოველი პარტიული ორგანიზაცია ზრუნავდეს იმისათვის, რომ კონსულტანტების თეორიული დონე შეუნელებლად მაღლდებოდეს, ამისათვის მოუწყოს მათ სემინარები, ლექციების ციკლი პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, საშინაო და საერთაშორისო ვითარების საკითხებზე, ამასთან იზრუნოს იმისათვის, რომ მოწინავე კონსულტანტის გამოცდილება განაზოგადოს, მის მაგალითზე სხვები აღზარდოს.

კონსულტანტის მთელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ კომუნისტი სისტემატურად, ყოველდღიურად მუშაობდეს წიგნზე, უყვარდეს თეორია, ჰქონდეს მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის კითხვის მოთხოვნილება. კონსულტანტი საკვანძო საკითხების განმარტებასთან ერთად ამხანაგებს უნდა არკვევდეს დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდიკაში, ასწავლიდეს იმას, რომ მთავარი გამოჰყონ მეორეხარისხოვნიდან, ზრუნავდეს იმისათვის, რომ ყველას ჰქონდეს სწავლის ინდივიდუალური გეგმა, ადგენდეს კონსპექტს.

კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლება ბევრად არის დამოკიდებული კონსულტანტებზე. ამიტომ მათი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება თვითეული პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ა. მ. გორკისადმი მიძღვნილი გამოფენა

ლენინგრადი, 1 აპრილი. (საქდესი). კიროვის სახელობის ოფიცრის სახლში გაიხსნა დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის დაბადების 81 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ყურადღებას იპყრობენ ის მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ გორკის წიგნები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენს ქვეყანაში გამოცემულია 48 მილიონი ცალი ტირაჟით. 27 ქვეყანაში გამოშვებულია 261 მისი ნაწარმოების თარგმანები. სპეციალური რუკა გვიჩვენებს, თუ მსოფლიოს რა პუნქტებში ყოფილა გორკი.

სტენდზე ექსპონირებულია „პრავდის“ ის ნომრები, სადაც მოთავსებულია მწერლის თხზულებები. სპეციალურ ვიტრინებში გამოფენილია რომან „დედის“ სსრ კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გამოშვებული მრავალი გამოცემა, პუბლიცისტური სტატიების კრებულები: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“, „თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ“ და სხვები.

ოფიცრის სახლი გენერლების, ოფიცრებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის აწყობს გორკის ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოს. დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება მისი პიესების ნაწყვეტები.

მარცვლეულ კულტურათა თესლის გაადრეულება

აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდის მიხედვით

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები წლევანდელ გაზაფხულზე ერთიორად ადიდებენ მარცვლეული კულტურების გაადრეულებული თესლით ნათეს ფართობებს. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეულ კულტურათა განყოფილების უფროსმა ამხ. სლობოდჩიკოვმა თქვა:

— აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მიერ წამოყენებული აგროტექნიკური ხერხი თესლის გაადრეულებისა დიდი პოპულარობით სარგებლობს კოლმეურნეობებში. მას ფართოდ იყენებს უხვი მოსავლის მრავალი ათასი ოსტატი.

თესლის გაადრეულება აჩქარებს განვითარებასა და მომწიფებას, შესამჩნევად ადიდებს მოსავალს. მოსავლის მატება ჰექტარზე აღწევს ორ-სამ ცენტნერს, მაღალი აგროტექნიკის დროს კი უფრო მეტს.

ადგილებზე დაიწყო მზადება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებისათვის. მოკლევადიან კურსებს გაივლის 100 ათასზე მეტი კოლმეურნე — თესლგამაადრეულებელი. კიროვის ოლქში უკვე მომზადებულია 3.000 თესლგამაადრეულებელი. ორი ათასამდე კოლმეურნემ დაამთავრა კურსები კრასნოდარის მხარეში. მრავალი თესლგამაადრეულებელი სწავლობს ჩკალოვის, კუიბიშევის, სტალინგრადისა და სხვა ოლქებში. (საქდესი).

საკავშირო ალკკ XI ყრილობა

2 აპრილის საღამოს სხდომა

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობის 2 აპრილის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ტ. ი. ერშოვას მოხსენების გამო „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ“.

— პარტიამ და მთავრობამ ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობანი შექმნეს საბჭოთა სკოლის ახალი აყვავებისა და აღმავლობისათვის, — ამბობს ამხ. ა. გ. **სიტნიკოვი** — კომკავშირის ლენინგრადის ორგანიზაციის დელეგატი.

ამხ. სიტნიკოვი ანალიზს უკეთებს ლენინგრადის სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნავს, რომ კომკავშირელები საინტერესო და შინაარსიან ღონისძიებათა ინიციატორები და ორგანიზატორები არიან და ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებას, გონივრულ დასვენებას უწყობენ მათ. ამასთან სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლიც მოიპოვება. ზოგჯერ კომკავშირელთა და პიონერთა მუშაობა სკოლებში მოწყვეტილია სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, რასაც მასწავლებლები ახორციელებენ.

დასასრულ ამხ. სიტნიკოვი ეხება მასწავლებელთა კოლექტივისა და კომკავშირული ორგანიზაციის თანამშრომლობის საკითხს.

— უკრაინის სკოლებში 8.725 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც 216 ათას კომკავშირელს აერთიანებენ. რესპუბლიკის პიონერულ ორგანიზაციაში 3 მილიონი პიონერი ირიცხება, — ამბობს უკრაინის კომკავშირის დელეგატი ამხ. ა. ი. **სუშანი**.—კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სკოლის ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს.

სიტყვა ეძლევა საკავშირო ალკკ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. **ა. ი. პანოვს**. იგი ამბობს, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ხაბაროვსკის მხარე რუსეთის მიყრუებული განაპირა კუთხე იყო, სადაც დაწყებითი სკოლებიც არ მოიპოვებოდა. ამჟამად მხარეში არის სკოლების ფართო ქსელი, რომლებშიც 200 ათასამდე ბავშვი სწავლობს. ათასობით ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებლებსა და ინსტიტუტებში ეუფლება მეცნიერებას.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მხარის სკოლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები.

ამასთან ერთად ამხ. პანოვი აღნიშნავს კომკავშირის მუშაობის ნაკლოვანებებს. მხარეში არის სკოლები, სადაც კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ბავშვებს არ უნერგავენ სწავლის ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ქალაქ მოსკოვის 602-ე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის ამხ. **ა. ი. გუროვას** სიტყვა. მან ილაპარაკა სკოლის მეოთხე რაზმეულის პიონერთა შესანიშნავ საქმეებზე, იმაზე, თუ როგორ იძენენ ბავშვები ახალ ცოდნას, როგორ უნერგავენ მათ საბჭოთა მოქალაქის — კომუნიზმის მშენებლის თვისებებს.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ინგლისის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ბილ ბრუქსს**, რომელმაც ინგლისის დემოკრატიული ახალგაზრდობის სალამი გადასცა საკავშირო ალკკ XI ყრილობას.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ვ. ვ. კუზნეცოვს**. მან საბჭოთა პროფკავშირების ათეულ მილიონობით წევრთა სახელით სალამი გადასცა საკავშირო ალკკ XI ყრილობას.

ახალგაზრდობა პროფკავშირების ყველა წევრთა მესამედზე მეტს შეადგენს. ჭაბუკები და ქალიშვილები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალფეროვან მუშაობაში, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში. პროფკავშირის ერთ-ერთი პირველი მოვალეობაა, — ამბობს ამხ. კუზნეცოვი, — აღზარდოს ახალგაზრდობა შრომაში, ჩაუნერგოს თავისი პროფესიის სიყვარულის გრძნობა, ასწავლოს ახალგაზრდობას სტახანოველთა, წარმოების ნოვატორთა მდიდარი გამოცდილების მიხედვით.

უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს გამოცდილ ოსტატთა შეფობა წარმოების საუკეთესო ადამიანებისადმი. ყოველდღიურად უნდა დავეხმაროთ წარმოებაში ახალმოსულ ახალგაზრდა მუშებს, მოვაწყოთ ახალგაზრდა მუშათა შეხვედრები, დავეუფლოთ მოწინავე სოციალისტურ ტექნიკას, შრომის სტახანოვურ მეთოდებს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოწაფეთა პოლიტიკურ და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მათ აღზრდას.

პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ამხ. კუზნეცოვი დაწვრილებით ეხება პროფკავშირებისა და კომკავშირის ამოცანებს მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის პოლიტიკური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობის საქმეში. პროფკავშირული ორგანიზაციები ამოცანად ისახავენ — უახლოეს ხანში მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საწარმოში შეიქმნას კლუბი და წითელი კუთხე. ამ დიდ მუშაობაში საჭიროა კომკავშირული ორგანიზაციის დახმარება.

ამხ. კუზნეცოვი ამბობს, რომ პროფკავშირებისა და კომკავშირის წინაშე დასახულია ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის უფრო ფართოდ განვითარების ამოცანა. ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით 1949 წელს დიდი სახსრებია ასიგნებული სტადიონების, წყალჯომარდობის სადგურების, სასპორტო დარბაზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის, აღდგენისა და მოწყობისათვის.

ტრიბუნაზეა უნგრეთის ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ბელა სალაი**. მან უნგრეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის სახელით მგზნებარე ძმური სალამი გადასცა საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის სახელზე კვლავ მოდის მრავალი მისალმება პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან. მისალმება მიღებულია ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების IV ყრილობისაგან, საქართველოს სსრ გორის რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის, მინსკის, ყაზანისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისაგან.

4 აპრილის დილის სხდომა

4 აპრილს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ“ ამხ. ტ. ი. ერშოვას მოხსენების გამო.

კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ლ. ა. დანილოვა** (ბელორუსია).

მოაგონა რა ყრილობას ის უდიდესი ზარალი, რაც ბელორუსიის სკოლებს გერმანელმა დამპყრობლებმა მიაყენეს, ამხ. დანილოვამ განაცხადა, რომ ახლა რესპუბლიკაში ყველა სკოლა აღდგენილია. სკოლების აღდგენასა და მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კომკავშირელები.

კომკავშირის ავტორიტეტი და გავლენა სკოლაში განუზომლად გაიზარდა. როგორც წესი, კომკავშირელი მოსწავლეები წარჩინებით სწავლობენ. შარშან 160 კომკავშირელმა სკოლა დაამთავრა ოქროს და ვერცხლის მედლებით. მაგრამ სკოლის კომკავშირის ორგანიზაციების საქმიანობაში ბევრი სერიოზული ნაკლია.

— საბჭოთა სკოლამ პარტიისა და მთავრობის, ამხანაგ ი. ბ. სტალინის განუწყვეტელი ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების საქმეში, — ამბობს საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. პ. გავრილოვი**. — მოსკოვის სკოლებში 1.358 ათასი მოსწავლეა.

სკოლის მუშაობის გაუმჯობესებაში თავისი წვლილი შეიტანეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირელები მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავდნენ სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთათვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად, რათა მოსწავლეებს ჩაუნერგონ სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება, განამტკიცონ სკოლაში დისციპლინა.

უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სკოლის ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში ამხ. **შ. ზ. სალამოვამ** ყრილობას უამბო რესპუბლიკაში სახალხო განათლების წარმატებათა შესახებ.

ამხ. სალამოვა შეჩერდა მუშაობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ დაუმყარებია სკოლების მჭიდრო კავშირი საზოგადოებრიობასთან, მშობლებთან. ამხ. სალამოვამ სურვილი გამოთქვა, რომ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ მუშაობა დაიწყოს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე.

— გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ოლქის განთავისუფლების შემდეგ განვლილი ხუთნახევარი წლის მანძილზე ორიოლის ოლქის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურული მშენებლობის დარგში — თქვა თავის გამოსვლაში კომკავშირის ორიოლის ორგანიზაციის დელეგატმა ამხ. **პ. მ. დიაჩუკმა**.—ოლქში კვლავ მუშაობს ათასობით სკოლა. ახალგაზრდობის დახმარებით ორიოლის ოლქში აშენდა 446 ახალი სკოლა.

სკოლის კომკავშირული ორგანიზაციები ამ უკანასკნელი წლების მანძილზე უფრო ღრმად წვდებიან სასწავლო წარმატების ამაღლების, მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებისა და შემოქმედებითი მუშაობის განვითარების საკითხებს. მაგრამ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმაო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ადგილებზე სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, ცუდად სწავლობენ და საკმაოდ ვერ აზოგადებენ მათს დადებით გამოცდილებას.

შემდეგ გამოვიდა სარატოვის ოლქის სახელოსნო სასწავლებლის ალკკ კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. ლ. ოსიპოვი**.

ტრიბუნაზეა პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **სერგეი მიხალკოვი**. იგი საბჭოთა მწერლების სახელით, ვისი შემოქმედებითი მუშაობაც განუყრელად დაკავშირებულია ლენინურ-სტალინურ კომკავშირთან და საბჭოთა სკოლასთან, ცხურვალე სალამს გადასცემს ყრილობას.

ამხ. მიხალკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერლებს, რომლებიც კომკავშირულ და პიონერულ თემებს წერენ, ესაჭიროებათ კომკავშირის ყოველდღიური დახმარება, მომთხოვნელი, პრინციპული მეგობრული კრიტიკა.

საკავშირო ალკკ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **დოლგიხი** ლაპარაკობს, რომ კომკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად იბრძვიან სწავლის მაღალი ხარისხისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის — საჭიროა სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, საკავშირო ალკკ რაიკომების მხრივ მათ მიმართ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ამხ. დოლგიხი მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს რსფსრ განათლების სამინისტროს და აღნიშნავს, რომ სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაოდ არ ხელმძღვანელობს სკოლებში რუსული ენისა და ბიოლოგიის სწავლებას, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სკოლაში კომკავშირულ და პიონერულ მუშაობას.

— მორდვეთის რესპუბლიკაში სააბჭოთა ხელისუფლებამდე პერიოდში სკოლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვი თითქმის გაორკეცდა, — ამბობს ამხ. **ზ. პ. არსენტიევა** — კომკავშირის მორდვეთის ორგანიზაციის დელეგატი. უფრო ფართოდ გაიშალა მასწავლებელთა ეროვნული კადრების მომზადება, ყველა სკოლაში შექმნილია კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები. კომკავშირელთა და პიონერთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე გადიდდა. შემდეგ იგი რსფსრ განათლების სამინისტროს წინაშე აყენებს საკითხს, რომ საჭიროა უფრო სერიოზული ყურადღება მიექცეს სასწავლო მუშაობას და განსაკუთრებით არარუსულ სკოლებში რუსული ენის შესწავლას.

კამათში გამოსულმა საკავშირო ალკკ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ა. მილმუხამეტოვმა** თქვა, რომ ყოფილი ყაზანის გუბერნიის ტერიტორიაზე რევოლუციამდელ დროსთან შედარებით მოსწავლე თათრების რიცხვი 100-ჯერ გადიდდა. თათრეთის დედაქალაქი — ყაზანი უმაღლესი სასწავლებლების ქალაქი გახდა. შემდეგ იგი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა უკეთ განზოგადდეს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, გაუმჯობესდეს რსფსრ განათლების სამინისტროს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა უფროს პიონერხელმძღვანელთა კადრების მომზადებისადმი.

რსფსრ განათლების მინისტრმა ამხ. **ა. ა. ვოზნესენსკიმ** თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა. ამას უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო სწავლება: დაწყებითი სოფელ ადგილებში, ხოლო შვიდწლიანი—ქალაქებსა და მუშათა დაბებში. ახლა უშუალოდ ფიზიკურ შრომაში ჩაბმულ უკვე ბევრ მუშასა და კოლმეურნეს აქვს შეღწეული და სრული საშუალო განათლება. [illegible] ეს ერთ-ერთი საუკეთესო [illegible]ბელია ფიზიკური და გონებრივი შრომის დაპირისპირების დაძლევის პროცესისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს.

ჩვენს ქვეყანაში გიგანტურად გაიზარდა დაწყებითი, შვიდწლიანი საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების ქსელი, რომლებშიც ამჟამად 34 მილიონი მოსწავლეა. სამ წელიწადში გამოშვებულია 330 მილიონი ეგზემპლარი სახელმძღვანელო. წელს გამოშვებული იქნება კიდევ 174 მილიონი ეგზემპლარი. ახლა თვითეულ მოსწავლეს ექნება საჭირო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად ფართოვდება მასწავლებელთა კადრების მომზადება. რუსეთის ფედერაციაში წელს იხსნება 30 ახალი სამასწავლებლო ინსტიტუტი, სპეციალური პედაგოგიური ინსტიტუტი და 20 პედაგოგიური სასწავლებელი ფიზკულტურის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სკოლა, განათლება, ისევე როგორც მთელი კულტურა, უღრმეს კრიზისს განიცდის. ეს განსაკუთრებით ეხება სკოლის მდგომარეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მთელი სწავლება იმით განისაზღვრება, რომ ბავშვებს თავს ახვევენ იმპერიალიზმის გაბატონებული ხროვის ყოვლად რეაქციულ იდეოლოგიას. ეს არის თვით თავისი არსით ანტიდემოკრატიული, ანტიმეცნიერული, ანტიჰუმანისტური სკოლა. ბავშვთა უდიდესი რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთოდ არ სწავლობს სკოლებში. ამერიკაში 20 მილიონამდე წერა-კითხვის უცოდინარია. ასეთია „კულტურა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში!

რსფსრ განათლების სამინისტროს ძირითადი ღონისძიებანი ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდეს ჩვენს სკოლებში სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, მიღწეულ იქნას მოსწავლეთა კარგი წარმატება და ორწლიანობის ლიკვიდაცია. სკოლებში აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს კარგი ხარისხის სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შექმნა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება. ხელმძღვანელობს რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, რსფსრ განათლების სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გასაუმჯობესებლად, პედაგოგთა იდეურ-თეორიული და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

ყრილობას მიესალმნენ ავსტრიის დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენელი **ოტო ვალტერ ბრიხაჩეკი** და „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე **ერიხ ჰონეკერი**, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ყრილობას კვლავ მოსდის მრავალი მისალმება ჩვენი ქვეყნის პარტიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

4 აპრილის საღამოს სხდომა

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის XI ყრილობის 4 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ“ ამხ. ტ. ი. ერშოვას მოხსენების გარშემო.

სიტყვა ეძლევა ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ა. ვ. რაგუსტისს**.

საბჭოთა ლიტვაში ყოველწლიურად იზრდება სასწავლებლების ქსელი. სკოლებისა და ინსტიტუტების კარი ღიაა მუშებისა და გლეხების ბავშვებისათვის.

რესპუბლიკის სკოლებში შექმნილია მასწავლებელთა 60 კომკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 500 კომკავშირელ მასწავლებელს. ამ სკოლებში უფრო სწრაფად იზრდებიან სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები, უკეთ არის მოწყობილი სკოლისგარეშე მუშაობა.

ამხ. რაგუსტისი ჩერდება მშობლებთან პედაგოგებისა და კომკავშირელების მუშაობის საკითხებზე. დასასრულ მას შეაქვს წინადადება — შეტანილ იქნას სასოფლო სკოლების პროგრამაში აგროტექნიკური ცოდნის სწავლება, მოსწავლეებს გააცნონ მიჩურინის, ვილიამსის, ლისენკოს მოძღვრების საფუძვლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ **ნ. ნ. რომანოვი** ამბობს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმემ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბი მიიღო. მაგრამ სკოლების მუშაობა ფიზიკური აღზრდის დარგში ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

კომკავშირის ვლადიმირის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ს. ტიკუნოვი** თავის გამოსვლაში შეეხო მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ა. მეგრელიშვილი** ამბობს, რომ საქართველოში სასკოლო ქსელი განუწყვეტლივ იზრდება. სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად განუხრელად იზრდება მოსწავლეთა წარმატება.

სერიოზული ღონისძიება იყო საშუალო სკოლაში 11-წლიანი სწავლის შემოღება. ამის შედეგად საშუალო სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა რიცხვი 20 პროცენტით და მეტით გაიზარდა.

შემდეგ ამხ. მეგრელიშვილი ლაპარაკობს, რომ მიზანშეწონილია რკინიგზის სკოლები გზათა სამინისტროს უწყებიდან გადაეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სამინისტროების სისტემას.

— დონის კომკავშირმა დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს ომის შედეგების ლიკვიდაციაში, — ამბობს საკავშირო ალკკ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. ნ. კრიკოვა**. — 1948-1949 სასწავლო წლის დასაწყისისათვის როსტოვის ოლქის სასკოლო ქსელი მთლიანად იყო აღდგენილი.

საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორმა ამხ. **კ. თ. პისკუნოვმა** განაცხადა, რომ გამომცემლობამ გამოუშვა დაახლოებით 4,5 ათასი სახელწოდების წიგნები 330 მილიონზე მეტი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. 45-ჯერ გამოიცა პუშკინის ნაწარმოებნი, 37-ჯერ — ტოლსტოის, 30-ჯერ — ლერმონტოვის, 23-ჯერ — გორკის, 18-ჯერ—მაიაკოვსკის ნაწარმოებნი. ათობით ახალი საინტერესო წიგნი გამოიცა პატარა მკითხველებისათვის—პირველკლასელებისა და სკოლამდელთათვის.

ახლა მწერლები მუშაობას ამთავრებენ მთელ რიგ ახალ ნაწარმოებებზე ბავშვთათვის. ახალ რომანებს წერენ კატაევი, პოლევოი, პავლენკო და სხვები.

ყრილობას მიესალმნენ უცხოეთის ახალგაზრდათა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ: ნორვეგიის დემოკრატიული ახალგაზრდობის სახელით — **ულფ კნუტსენი**, მონღოლეთის ახალგაზრდობის სახელით — ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **დანზგო სურუნ ნეიდაჩინი**.

ყრილობის სახელზე კვლავ მოდის მისალმებები ჩვენი ქვეყნის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან. მიღებულია აგრეთვე მისალმებანი უცხოეთის მთელი რიგი ორგანიზაციებისაგან. (საქდესი).

ძალაში შევიდა ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ხელი მოაწერეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას. გასული წლის კოლექტიურმა ხელშეკრულებამ ძნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქარხნის საწარმოო ვეგების გადაკარბებით შესრულებას. ხელშეკრულების უმეტესი მუხლები განხორციელდა, მაგრამ მთელი რიგი არსებითი ვალდებულებები როგორც დირექციის, ისე საქარხნო კომიტეტის მიერ შეუსრულებელი დარჩა. მაგალითად, სატრანსპორტო სამაჭროში ვერ მოაწყეს დეპო, საღონა სამაჭროში საკაზმე ეზოსათვის ვერ ააგეს კანტორის შენობა, ვერ უზრუნველყვეს მარგანეცის სამაჭროს მუშებისათვის აბანოს და მოლიანად ქარხნის მუშებისათვის სამრეცხაოს მოწყობა, რასაც კოლექტიური ხელშეკრულება ითვალისწინებდა. ვერც საქარხნო კომიტეტი მუშობდა გამართულად მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სოსტკი იბრძოდა დირექციის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ამ დღეებში ძალაში შევიდა, ითვალისწინებს გასულ წელთან შედარებით სასაკონლო პროდუქციის გამოშვების საგრძნობლად გადიდებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, საბრუნავ სამუალებათა ბრუნვის 25 დღით დაჩქარებას და ამ გზით სახელმწიფოსთვის 2.200 ათასი მანეთის გათვისოუფლებას, კადრების მომზადებაგადაწყვეტილებას, 1000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის გადაცემას საეპსლოატაციოდ, 240 ათასი მანეთის გამოყოფას არსებული მუშათა ბინების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებისათვის, ყველა საერთო საცხოვრებლის რადიოფიკაციას, 160 კაცის გაგზავნას კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში. 80 ათასი მანეთი მოხმარდება სამაჭროებსა და საერთო საცხოვრებლებში წითელი კუთხეების მოწყობას, 50 ათასი მანეთი გათვალისწინებულია საზაფხულო სასადილოს მოსაწყობად. მოეწყობა კალათბურთის მოედანი და გაიხსნება ფეხბურთის სტადიონი. დირექციამ იკისრა შეიძინოს ავტობუსი და მოაწესრიგოს როგორც ქალაქიდან ქარხანამდე, ისე მახლობელი სოფლებიდან მუშათა გადმოყვანა ავტობუსით.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. კეკელიძემ და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. რაზმაძემ. **(საკ. კორ.).**

ამიერკავკასიის რკინიგზაზე

გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შეჯამებაში და ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ რკინიგზელები. მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებებზე ხელშეკრულების პროექტის განხილვის პროცესში დამატებით 270 წინადადება შემოვიდა.

ამას წინათ შედგა ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეორე პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გზის სამმართველოს სხვადასხვა სამსახურისა და გაყოფილებათა უფროსები.

საგზაო კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის გულდასმით განხილვის შემდეგ პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა 1949 წლის საგზაო კოლექტიური ხელშეკრულება და ძირეულ პროფსაფულ ორგანიზაციებს დაავალა ამოცანად გააჩაღონ აქტიური მუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თვითეული მუხლის უნაკლოდ შესრულებისათვის. **(საკ. კორ.).**

ფოთის ფიცქვილკომბინატში

წისქვილკომბინატის დირექციასა და მუშებს შორის ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. სხდომაზე, სადაც ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებისათვის, საქმიანი წინადადება შემოიტანა ელევატორის მუშამ ამხ. ჩერნოვმა. მან განაცხადა, რომ საურველია ჩიბერეზზე დაიდგას რედუქტორება, რაც 25 პროცენტით გადიდებს შრომის ნაყოფიერებას. მისივე წინადადებით ელევატორს უნდა გაუკეთდეს მტვრის საწმენდი. ბრიგადირმა ა. კუციამ წინადადება შეიტანა საწყობსა და ელევატორს შორის გაყვანილ იქნას დამატებითი რკინიგზის ხაი, რაც ძნიშვნელოვნად გაადიდებს მზა პროდუქციის გაზიდვას და შეამცირებს ვაგონების მოცდენს.

ჯომბინატის დირექციამ მზედველობაში მიიღო მუშათა ეს საქმიანი წინადადებები და თავის მხრივ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა. პროექტის ვალდებულებანი შემდეგ ხელი მოაწერეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას. **(საკ. კორ.).**

ახმეტის რაიონის კეთილმოწყობა

ახმეტა, (სპეც. კორ.). უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული რაიონის კეთილმოწყობისათვის. 2,5 ჰექტარზე მოწყობილია ბაღი, სადაც დარგულია 1.000 ძირი წიწვიანი და დეკორაციული მცენარე. წელს დამატებით დარგავენ 2.000 ძირ მცენარეს.

რაიონში მრავალი დაწესებულება შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. წელს გათვალისწინებულია დაიწყოს ახალი ბინების მშენებლობა ბანკის, რაიკოოპკავშირის, რაიმაღაზიისა და კავშირგაბმულობის რაიგანყოფილებისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო ბინების მშენებლობას. სოფელ ხერხეულის ღესელიძის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან ადმინისტრაციულ სახლს, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება. შენობაში მოთავსდება სამკითხველო, ბიბლიოთეკა. მოეწყობა კოლმეურნეობის გამგეობის ოთახები. აქვე მოეწყობა კლუბი, რომელიც 300 კაცს დაიტევს.

სოფელ ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა ბინებში წელს გაყვანილი იქნება ელექტრონის სინათლე. წელსვე განზრახულია დაამთავრონ კოლმეურნეობის კანტორისა და საწყობების მშენებლობა.

რაჭომ ურიგდებიან აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევას?

ზამთრის გაჭიანურებამ მინდვრის სამუშაოები შეაფერხა. ამან კოლმეურნეობათა მხრივ ახალი ღონისძიებების გატარება მოითხოვა.

სოფელ მაღაროს (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობა „შრომამ" (თავმჯდომარე შალვა ოსეფაშვილი) 600 ჰექტარი ხორცლი, ქერი, სიმინდი და მზესუმზირა უნდა დათესოს. გამგეობის გადაწყვეტილებით ნავარაუდევი 15 გუთნეულის ნაცვლად 24 გამოყვეს, შერჩეულ ნაკვეთებში ხვნა დაიწყეს. გუთნისდედები დავით ზაიშვილაშვილი, გიგო ნავროზაშვილი, ვასილ ზედელაშვილი, და რამან გოდერძიშვილი დღიურ დავალებას 100-120 პროცენტით ანაღდებენ. ამას ხელს უწყობს მეხრეების დ. ბაიდოშვილის, ვ. ყანდაშვილის და შ. ღვედაშვილის კარგი მუშაობა. ამ კოლმეურნეობაში კარგად მუშაობს ულიანოვკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ვ. ბაიდოშვილი ხელმძღვანელობს, ტრაქტორისტები შ. უსენაშვილი, ალ. ვარსამაშვილი და კ. ბოქოლიშვილი ყოველ ხელსაყრელ დღეს იყენებენ. მათ უკვე გადახნეს 90 ჰექტარი.

კოლმეურნეობამ თებერვალ-მარტში შემოდგომის ნათესებში 1.300 ტონა ნაკელი შეიტანა, უახლოეს დღეებში 40 ჰექტარ ხორცლის ნათესში შეიტანენ 400 ტონა გადამწვარ ნაკელს.

გ. გოდერძიშვილის ბრიგადა 105 ჰექტარ ყანას უვლის. ამ ბრიგადის მერგოლურებმა კატო ყანდაშვილმა, მანია ბაინდურაშვილმა და ნინო გოდერძიშვილმა სოციალისტური შეჯიბრება გაიმარჯვა, რათა ყოველ ჰექტარზე მიღონ 190 ფუთი ხორბალი.

ამასთანავე არიან კოლმეურნეობანი, სადაც არ გაითვალისწინეს მიმდინარე გაზაფხულის თავისებურებანი. სოფელ ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ბანძაძიანი) ირწმუნებიდნენ, რომ ხვნა-თესვაზე მუშა-საკონელი სრული დატვირთვით იქუშაებდა. სინამდვილეში კოლეურნეობას თებერვლის დამლევებისათვის აღარ აღმოაჩნდა მუშა-საკონლის საკვები. ამის გამო კოლმეურნეებისათვის გასაცემი ქერი, სიმინდი და სხვა პროდუქტები პირუტყვის საკვებად გამოიყენეს. ვერც ამან უშველა საქმეს. კოლმეურნეობის 40-მდე ხარი და კამეჩი დასუსტებულია და სამუშაოზე ვერ იყენებენ.

ეს კოლმეურნეობა ხელს არ უწყობს ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტ სოსო აბულაშვილს. იგი ხნავდა პირველი ბრიგადის ნაკვეთს, რომელიც მიჩენილი არ იყო რეფოსისათვის. ნაკვეთი სახნავადაც არ იყო მომზადებული, რის გამოც ხვნის ხარისხი დაბალია. ბრიგადირმა გ. შაშუაშვილმა კითხვაზე, თუ რატომ არ ამაგრებენ რგოლებზე ნაკვეთებს, გვიპასუხა:

— მოვხნავთ, დავთესავთ და მერეც მოვესწრებით ნაკვეთების რგოლებისათვის მიჩენასო.

ხვნის ხარისხის დარღვევის ფაქტი არის ამავე სოფლის დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ალაზნის მტს-ის მეშვიდე ბრიგადა ხვნას შეუდგა ისეთი გუთნით, რომელსაც ერთ კოჭპუზზე წინასახნისი აშენებული ჰქონდა. ტრაქტორისტები ილო ზურაშვილი და უშანგი მოსულიშვილი ამას ყურადღებას არ აქცევენ. წინასახნისები ფორმალურად ჰქონდა ამავე მტს-ის გ. ჯანიბეგაშვილის ტრაქტორს, რომელიც მუშაობდა ძველი ანაგის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

საკვირველია, რატომ ურიგდებიან კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევას?

ვ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა მთავრობის ნოტა ბერძნეთის დასავლეთი საზღვრების უკანონო შეცვლის გამო

გერმანიის დასავლეთი საზღვრების შეცვლის შესახებ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში გ. ნ. ზარუბინმა საბჭოთა მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე შემდეგი ნოტა გაგზავნა:

„საბჭოთა მთავრობამ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობის 1949 წლის 26 მარტს გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკედან შეიტყო, რომ ზემოხსენებულ სახელმწიფოთა მთავრობებმა გადაწყვიტეს შეეცალონ გერმანიის დასავლეთი საზღვრები და მეუფეთონ გერმანიის ტერიტორიის ნაწილი საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიებს.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის მთავრობათა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ „დეკლარაციაში გერმანიის დამარცხების შესახებ", რასაც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს 1945 წლის 5 ივნისს, გერმანეთი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ, რაც წინათ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მთავრობებს და რაც გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში 1 აპრილს. (საკდესი).

საკდესის ცნობა

4 აპრილს სსრ კავშირის მთავრობამ იტალიის, ნორვეგიის, დანიის და ისლანდიის მთავრობებს, რომლებიც მიწვეული არიან მონაწილეობა მიიღონ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში, თავისი ელჩების მეშვეობით გაუგზავნა სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში, თავისი ელჩების მეშვეობით გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მთავრობებს და რაც გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში 1 აპრილს. (საკდესი).

საღამო სოფელში

აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მინდვრის სამუშაოებიდან შინ დაბრუნდნენ; მუშა-პირუტყვისა და მანქანა-იარაღების დაბინავების შემდეგ ბევრი მათგანი საკოლმეურნეო კლუბისაკენ გაეშურა.

კლუბი კოლმეურნეთა საყვარელი ადგილია. აქ ისინი ყოველ თავისუფალ დროს იკრიბებიან და კულტურულად ისვენებენ. ზოგი კლუბთან არსებულ სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, ზოგი ჭადრაკთან გატაცებული, ზოგი კი მომავალი მუშაობის გეგმებზე საუბრობს.

მეჩიკე კოლმეურნე ქალები აგროტექნიკური წრის მორიგ მეცადინეობაზე მოვიდნენ. — ჩვენი წრე ნაყოფიერად მუშაობს. ზამთრის პერიოდში ჩაის აგროწესები შევისწავლეთ, — გვითხრა სტახანოველმა კოლმეურნემ მარო ქოიავამ, რომელსაც ნაკისრი აქვს წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა. აქ ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან შარა კუპრავა, ნადეჟდა გაბელაია, თინა ტყებუჩავა, ლიზა თოფურია, დუნია ქუთათელაძე და სხვები.

კლუბთან არსებულ სამკითხველოში 30-მდე კოლმეურნე მაგიდის ირგვლივ ისხდნენ და ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ. ამ სამკითხველოს 1.065 მხატვრული და პოლიტიკური ხასიათის წიგნი აქვს. სამკითხველოს ყოველდღიურად 20-25 თუმანი მკითხველი ჰყავს. კოლმეურნე შალვა ქოიავას „კომუნისტის" ახალი ნომერი ეჭირა ხელში და ამხანაგებს საერთაშორისო საკითხებზე ესაუბრებოდა, კოლმეურნე ირაკლი ქოიავას მწერალ ა. ბელიაშვილის რომანის „ბესიკის თავგადასავალის" წაკითხვა დაეთავრებინა, და ქართველი ხალხის ვმირული წარსულის შესახებ ლაპარაკობდა.

— ირაკლის უყვარს მხატვრული ლიტერატურა, იშვიათია ისეთი წიგნი რომელ სამკითხველოში, რომ მას არ წაეკითხოს, — გვითხრა სამკითხველოს გამგემ ოლღა გრიგოლიამ.

კლუბთან არსებული თვითმოქმედი წრეების სამუშაო ოთახში კოლმეურნეები ს. ქოიავა, შ. ქოიავა, ა. ბერტენავა, ი. ქოიავა და სხვა ერთმანეთს ჭადრაკში ეჯიბრებოდნენ...

ზარის წკრიალმა კოლმეურნეებს კინოსეანსის დაწყება აუწყა... დარბაზი მაყურებლებით გაიჭედა. სეანსის დაწყების წინ მათ ადრონომმა ნ. გვაზავამ დიდი რუსი მეცნიერის ი. მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიცნო, რის შემდეგაც ნაჩვენები იქნა კინოსურათი „ი. ვ. მიჩურინი". ამ კინოსურათმა კოლმეურნეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ასე კულტურულად და ნაყოფიერად ატარებენ საღამოობით თავისუფალ დროს სოფელ ძველი აბაშის კოლმეურნეები.

ვ. კოკალეიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გავაჩაღოთ მოსამზადებელი მუშაობა „ჭყის ღღისათვის"

ქუთაისი

ქალაქში 10 აპრილს ტარდება „ტყის ღღე". ორგანიზაციები, რომლებიც ადრიანად შეუდგნენ ამ ღღისათვის სამზადისს, უზრუნველყოფილი არიან ნერგით. ბევრგან უკვე მომზადებულია ნიადაგი მცენარეთა გასაშენებლად. გარდა ადგილობრივ დამზადებული ნერგებისა, დიდი რაოდენობით იქნა შემოზიდული ნერგები ბათუმის, სოხუმის, გალისა და მთელი რიგი სხვა რაიონებიდან.

„ტყის ღღეს" ქალაქის ტერიტორიაზე დაირგვება 60 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე. აქედან ბაღებისა და სკვერების შესასვენებად გათვალისწინებულია 20 ათასი ძირის დარგვა, ხოლო ქუჩების გასამწვანებლად 15 ათასამდე ძირისა.

სტალინის ქუჩაზე, რომელიც ქალაქს საავტომობილო ქარხნასთან აკავშირებს, ორივე მხარეზე, 3 კილომეტრზე ვადარი გაშენდება, ქუჩის დასაწყისში კი, ბელადის მონუმენტის მახლობლად, მოეწყობა ყვავილნარი.

დიდძალი დეკორატიული მცენარე დაირგვება ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა ტერიტორიაზე. მარტო საავტომობილო ქარხნის ეზოში განზრახულია დაირგოს ათი ათასზე მეტი ძირი.

სანერგე მასალის ადგილობრივი ბაზის გაფართოების მიზნით ქალაქის სანერგეებში მომავალი წლისათვის გამოყვანილი იქნება 29.500 ძირი ნერგი. **(საკ. კორ.).**

ხაშური

ამ დღეებში ჩატარდა რაიონული თათბირი, რომელშაც მიიღო გადაწყვეტილება მასობრივად გააჩაღოს მუშაობა „ტყის ღღეს" ჩასატარებლად — ლოზუნგით: „თითთ მოსახლეზე დაირგოს 2-3 ძირი ნერგი".

ხაშურის სატყეო მეურნეობა წელს გაზაფხულზე 67 ჰექტარზე გაამენებს ფიჭვს, სულ 670 ათასი ძირის რაოდენობით, აქედან მარტო სურამის სატყეო მეურნეობა დარგავს 18 ჰექტარზე, ქვეშეთის — 15-ზე, ალის — 10-ზე, ძამის სატყეო — 6 ჰექტარზე.

გარდა ამისა, პირამიდული ვერხვი და სხვა ფოთლოვანი ჯიშის ნეკი დაირგვება ბორჯომის გზატკეცილის გასწვრივ ჭიმდილან ქვეშეთამდე 20 კილომეტრზე, სულ 8.000 ძირი, იმერეთის გზატკეცილზე (ხაშურიდან სოფელ ჩუმათელეთამდე) 20 კილომეტრზე 3.200 ძირი, ალის გზაზე (გომიდან ცხეთისაკენ) — 12 კილომეტრზე — 4.800 ძირი.

ქალაქ ხაშურის — რუსთაველის, ბერიას, ბაკრაძის, განათლებისა და ლესელიძის ქუჩებზე დაირგვება 4.000 ძირი დეკორაციული ჯიშის ნერგი, ქალაქის ბაღებსა და ეზოებში — 13.800 ძირი.

ხაშურის სატყეო მეურნეობას სანერგეში უკვე გამოყვანილი აქვს ფიჭვის 606 ათასი ძირი ნერგი, ბერდიჩიას 120 ათასი, კანდისა და პირამიდული ვერხვის 500 ათასი, კაკლის — 31 ათასი ძირი ნერგი და სხვ. **(საკ. კორ.).**

როგორ ვმუშაობთ კომუნისტთა თვითგანათლების ხარისხის ამაღლებისათვის

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ. წმენნე და დამოუკიდებლად მუშაობა პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლების ძირითადი მეთოდია. ჩვენს რაიონში მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად სწავლობს 515 კომუნისტი. ესენი არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერ-მუშაკები და სხვ. მათ დასახმარებლად ხშირად იკითხება კვალიფიციური ლექციები, ეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, თეორიული გასაუბრებები.

დიდია კონსულტანტის როლი კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლის ხარისხის ამაღლების საქმეში. დამოუკიდებელი მუშაობა როდი გულისხმობს დახმარებისა და კონტროლის შენელებას, პირიქით, საჭიროა ამ დახმარებისა და კონტროლის გაძლიერება. სწორედ ამ ამოცანას ასრულებენ კონსულტანტები.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ინდივიდუალური კონსულტაცია სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას როგორც კომუნისტთა თვითგანათლებისადმი დახმარების მთავარი ფორმა. იგი იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ თვითეული ამხანაგის მოთხოვნილება და მისი პოლიტიკური მომზადების დონე.

დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიასა და თეორიას სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით. კონსულტანტმა უნდა გამოირკვიოს, თუ ვინ როგორ შეისწავლა ესეთუ ის ნაწარმოები, ამასთან დახმარება გაუწიოს მათ, რათა საფუძვლიანად გაერკვენ თემის საკვანძო საკითხებში.

რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეარჩიეს სათანადოდ მომზადებული კონსულტანტები, რომლებიც შემდეგ დამტკიცებულ იქნენ პარტიის რაიკომის ბიუროზე. ამჟამად რაიონში 67 კონსულტანტი მუშაობს.

კონსულტანტთა შერჩევისა და დამტკიცების შემდეგ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები წამოიჭრა, რომლებიც განმარტებასა და დაზუსტებას მოითხოვდნენ. ყოველ კონსულტანტს უნდა სცოდნოდა თავისი როლი და ფუნქცია, დამოუკიდებლად მოსწავლე ამხანაგებისადმი დახმარებისა და კონტროლის მეთოდები და სხვ. ამ მიზნით პარტკაბინეტში ჩატარდა კონსულტანტთა სემინარი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდზე, კონსულტანტის მოვალეობაზე, სწავლის ინდივიდუალური გეგმის შედგენის, კონსულტანტსა და პარტიულ ორგანიზაციას შორის ყოველდღიური მჭიდრო კავშირის აუცილებლობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

უნდა ითქვას, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების უმრავლესობა უკვე დაეუფლა წიგნზე მუშაობის მეთოდებს. ამ საქმეში მათ ეხმარებათ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, რომლებიც შედგენილ იქნა კომუნისტთა უნარის გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაშია მიღებული მათი პოლიტიკური მომზადების დონე და შესასწავლ ნაწარმოებთა ხასიათი. ვადების განსაზღვრისას გათვალისწინებულია რეკომენდებული ლიტერატურის მიხედვით დამოუკიდებელი სწავლის ორი წლის ხანგრძლივობა. ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს გამოყენებულ იქნა კეცხოველის სახელობის თბილისის საკალაქო პარტიული კაბინეტის მუშობის მდიდარი გამოცდილება, რომლის მიხედვითაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თვითეული ნაწარმოების შესწავლას მაქსიმალურად თვენახევარი სჭირდება, ხოლო ზოგიერთ ნაწარმოებთა შესწავლისათვის სავსებით საკმარისია 15-20 დღე.

კონსულტანტებმა გეგმის შედგენისას პრაქტიკულად განახორციელეს კომუნისტთა სურვილები, ამასთან სპეციალისტების მოთხოვნით მთა გეგმაში დამატებით შეტანილ იქნა უშუალო ეკონომიკურ საქმეთა დაკავშირებულ ნაწარმოებთა შესწავლა. მაგალითად, კომუნისტმა ვ. ფანთიამ (ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერი მუშაკი) თავის გეგმაში გაითვალისწინა ჩაის საუკეთესო ჯიშების გამოსაყვანად მიჩურინეული მოძღვრების გამოყენების საკითხი. კომუნისტმა თ. ჭილაიამ (ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლელი) გეგმაში დამატებით გაითვალისწინა ზეფსწავლა მაქსიმ გორკის „დედა", ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" და სხვ. ასევე დამატებით ნაწარმოებთა შესწავლა გაითვალისწინეს თავიანთ გეგმებში დოცენტმა ვლ. ჯიქია, ექიმმა ნ. ცერცვაძემ, აგრონომმა გრ. მიქავამ და სხვ. სპეციალისტთა ასეთ სურვილებს სეიროზული ყურადღება უნდა მიექცეს და მათ ქმედითი დახმარება გაეწიოს.

კარგად მუშაობს კონსულტანტი ს. პეტრიდისი, მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაციის 5 კომუნისტთან. უპირველეს ყოვლისა მან ჩატარა ინდივიდუალური გასაუბრება და დაეხმარა კომუნისტებს გეგმის შედგენაში. 23 თებერვალს კომუნისტ ბ. სალიასთან გასაუბრების დროს კონსულტანტმა გამოარკვია, რომ „კომუნისტიკური პარტიის მანიფესტის" შესწავლისას იგი მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევას მოითხოვდა. ამმ. სალიასა და პეტრიდისს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. სალიამ სთხოვა კონსულტანტს მიეცა მისთვის სათანადო განმარტება „კომუნისტთა კავშირის" ისტორიის შესახებ. კონსულტანტმა ნაწილობრივ დაკმაყოფილა სალიას თხოვნა და აღუთქვა მას საკითხის უფრო ღრმად გაშუქება მორიგი ბეზეგრილისას. ამის შემდეგ ამხ. პეტრიდისი პარტკაბინეტის კონსულტანტ მ. ნარმანიას დახმარებით გაეცნო მარქსის რჩეული ნაწერების მეორე ტომში მოცემულ „კომუნისტთა კავშირის ისტორიას" და 24 თებერვალს საფუძვლიანი განმარტება მისცა ამმ. სალიას მის მიერ დასმულ კითხვაზე. ამმ. პეტრიდისი კომუნისტებთან გასაუბრების ჩატარებასთან ერთად იმის მაგალითსაც იძლევა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს კონსულტანტი თავის თავზე.

მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან კონსულტანტები ვ. ფანთია, თ. ხუბულავა, ი. ძიგუა, დოცენტი ა. ენკუაშვილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების დასახმარებლად ეწყობა ლექციათა ციკლი. წაკითხულ იქნა ლექციები ლენინისა და სტალინის ნაშრომების მიხედვით: „რა ვაკეთოთ?", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" და სხვ. მარტის მეორე ნახევარში ჩატარდა ლექცია სტალინის სტატიაზე „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია" და ლენინის ნაშრომზე „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ლექტორები გ. გობეჩია, დ. კალანდია, მ. ქობალია და სხვები სრული პასუხისმგებლობით კითხულობენ ციკლში გათვალისწინებულ ლექციებს.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად ეწყობა ლექციათა მეორე ციკლი. წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „მატერიალიზმი და იდეალიზმი", „მარქსისტული დიალექტიკის ძირითადი ნიშნები", „მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები", „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი" და სხვ. ლექციებს კითხულობენ დოცენტი გ. ცხაკაია, ლექტორი შ. დადიანი, კ. ეგუტია, ნ. ჩიქავა, მ. ნარმანია, გ. ჩვამანია. ლექციათა ციკლი, რომელიც გათვალისწინებულია 11 ლექცია, აპრილში ამოიწურება.

მაღალხარისხოვანი კონსულტაციების, თეორიული გასაუბრებისა და ლექციების სისტემატურად ჩატარების შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ინდივიდუალურად შემსწავლელთა შორის არიან ამხანაგები, რომლებიც წერენ რეფერატს. დღემდე დაწერილი 23 რეფერატიდან კოლექტიურად წაკითხულ იქნა 9 რეფერატი. რეფერატების წაკითხვისას მოეწყო ამხანაგური დისკუსიები, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. ეს აძლიერებს ინტერესს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და თეორიის ღრმად შესწავლისადმი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეფერატი საკითხის ღრმად გაშუქების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, იგი აჩვევს კომუნისტებს მსჯელობას და ფორმულირების სიზუსტეს.

კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი (ინჟინრები, ექიმები, აგრონომები) საკმაო მონდომებით არ მუშაობს თავისი მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის ასაამაღლებლად, არ ეუფლება ბოლშევიკური პარტიის ისტორიასა და თეორიას. ამ ამხანაგებს საკადრისად ბოლშევიზმის დაუფლება. განა ცხადი არ არის, რომ ასეთ კომუნისტებს არ შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, როგორც სპეციალისტებმა, და ბოლოს და ბოლოს ისინი თავიანთი სპეციალობის ვიწრო ნაპუჯში ჩაკეტილი აღმოჩნდებიან. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საქმეს. მათ უნდა მოაგონონ კომუნისტებს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ არსებობს ერთი მეცნიერება, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს ყველა დარგის სპეციალისტებისათვის, ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. და სწორედ ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი გაბედულად მიდის წინ, სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურ თეორიით შეიარაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ამ ამხანაგებისადმი ყოველდღიური დახმარება და განსაკუთრებული კონტროლი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტი სპეციალისტები დაუფლავად მუშაობდნენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჯგუფოვან სიმაღლეზე დააყენოს კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმე, მათი პოლიტიკური თვითგანათლების საქმე.

გრ. ჩაჩიბაია

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

ა. მ. გორკის არქივის მასალები

მ. გორკის გამოუქვეყნებელი სტატია

ქვემოთ პირველად ქვეყნდება მ. გორკის მიერ 1931 წელს დაწერილი სტატია.

ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის არქივი.

პოემა პროზად

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტები ევროპაში განთქმული არიან თავიანთი საძეურნეო უნარით. ამერიკელი კაპიტალისტები თავიანთ ქვეყანაში ამაყობენ და იქვეხნიან ამ უნარს.

ჩიკაგო — ნიუ-იორკის შემდეგ — შტატების მეორე ქალაქია სიმდიდრითა და მცხოვრებთა რაოდენობით; ამავე დროს ჩიკაგო ყველაზე ორიგინალური ქალაქია მსოფლიოს ქალაქთა შორის. ჩიკაგოს ორიგინალობა ის არის, რომ [illegible]

[illegible] დათ, ყოველივეს, რასაც მათი პროფესია ავალებდა, თავიანთ მუშაობაში იყენებდნენ საუკეთესო სისტემების რევოლვერებსა და ტყვიამფრქვევებს, ნელნელა ხვრეტდნენ ერთმანეთს, ხოლო განსაკუთრებული ხალისით — ჩიკაგოს მოქალაქეებს.

მაგრამ შარშან ამერიკიზებულმა ჩეხმა, ანტონ ჩერმაკმა, რომელიც ჩიკაგოს მერად აირჩიეს, განაცხადა: მოვსპობ ბანდიტებს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ძარცვონ და ნელნელა ჰკლანო. მან, მართლაც, საპყრობილეში ჩასვა ალ-კაპონე—ერთ-ერთი ბანდიტური ორგანიზაციის მეთაური, და ეს გმირი, ყველა ქვეყნის ჟურნალისტების მიერ განთქმული, კაცი, რომელსაც 22 მკვლელობას მიაწერენ, საპატიმროში საუცხოო ბანკეტებს მართავს პატიმრებისათვის.

აქ შეიძლება გავიხსენოთ გუბერნატორი ფულერი, ძის მიერ მოკლულნი საკო და ვანცეტი, ესოდენ უდახაშაულოდ დასჯილი ზანგი ბავშვები, კიდევ ბევრი სხვა, მაგრამ — უნდა ითქვას,— ეს თემის ფარგლებს სცილდება. თემა— ამერიკელი ბატონ-პატრონები არიან.

ამ დღეებში ჩიკაგოში შედგა შტატის საკანონმდებლო კრება, მაგრამ ბანკირებმა და მრეწველებმა „იგი ისე დახურეს, რომ ვერ მოასწრეს ვერც ერთი ფინანსური კანონპროექტის განხილვა". [illegible]

[illegible] არ შემეძლო ჩემი თავი და ჩემი თანაშემწეები იდიოტების როლში გამომეყვანა. რა აზრი აქვს უწყისებში ითვლებოდნენ მოხელეები, რომლებსაც ხელფასს ვერ გადავუხდით? მოსამსახურეთა სიები უმჯობესია სანაგვე ორმოში ჩავყაროთ. ბევრი შიმშილით მოკვდება. ისინი გახდებიან წყეული პოლიტიკოსების ეგოისტური ინტერესების მსხვერპლნი!".

ამ ამბიდან ვხედავთ, თუ რა ანარქიულად მეურნეობენ კაპიტალისტები და რა ანარქიულ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა მიღებას აიძულებენ ისინი თავის ნოქრებს. ქალაქ ჩიკაგოს მეთაურის მოთქმა ისე კარგია, რომ ლექსად უნდა მეთქვა, მაგრამ ჩვენში იმდენი ცუდი ლექსი იწერება, რომ პროზა ვამჯობინე.

თარგმანი არისტო ჭუმბაძისა

გორკის დღეები საქართველოში

აგიტატორთა საუბრები

ქ. ქუთაისის საწარმო-დაწესებულე[illegible]

მწერლის ბიოგრაფია, პროპაგანდისტი შეჩერდა გორკის საქართველოში ყოფნის პერიოდზე. [illegible]

[illegible] მაუდის ფაბრიკაში 20-ზე მეტმა აგიტატორმა მსმენელებს წაუკითხა გორკის ნაწარმოები „ყვითელი ეშმაკის ქალაქი".

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ მოაწყო ლიტერატურული საღამო, მოხსენებით გამოვიდა დოცენტი გ. სამხარაძე. მწერლებმა დომენტი თომაშვილმა და ე. ფურცხვანიძემ წაიკითხეს გორკისადმი მიძღვნილი საკუთარი ნაწარმოებები.

საქალაქო პარტკაბინეტსა და საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი გამოფენები.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

[illegible] დგას, ვით გაქვავებული, თვალები დამრგვალებია, როგორც ჰოტს — სადღაც ერთ წერტილს მიშტერებია... ეს ადამიანი ცხოვრობს იმ საჭმლის მოგონებით, რომელიც გუშინ გადაუყლაპავს, ცხოვრობს ოცნებით იმ ლუკმაზე, რომელიც შესაძლოა, როდისმე შეჭამოს. ბავშვი ყვირის და იკრუნჩხება მისი პაწია, ყვითელი სხეული,—დედას არ ესმის მისი ყვირილი, ვერ გრძნობს მის დარტყმებს".

ასეთია დღესაც მილიონობით მშრომელთა ხვედრი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში—ნიუ-იორკში — ყვითელი ეშმაკის ქალაქში.

— ჩვენ კი შეძლებულად ვცხოვრობთ: არცა გვშია, არცა გვცივა, ბავშვებს სკოლებში ვასწავლით. ამას ვუმადლით საბჭოთა მთავრობას, პარტიას, დიდ სტალინს, ჩვენს გორკის, რომელიც მუდამ ახლოს იდგა ლენინთან და სტალინთან, მთელ მშრომელ ხალხთან!—ეს არის საერთო დასკვნა იმ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლისა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ხორგუაშვილმა, სტახანოველმა [illegible]

ტინისხიდელ კოლმეურნეებთან

სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადის" წევრები 5 აპრილს შეიკრიბნენ, რათა მოესმინათ საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისტ ამხ. მ. მახარაშვილის საუბა[illegible]

[illegible] რი თემაზე: „მაქსიმ გორკი".

— მაქსიმ გორკი მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი და საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელია, — განაცხადა პროპაგანდისტმა. — მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გორკიმ მოგვცა იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა ბრძოლა კომუნიზმის დიადი იდეებისათვის.

დაწვრილებით მოუთხრო რა დიდი [illegible]

[illegible] კოლმეურნეებმა ლიზა ანიაშვილმა, ნუშო ფალელაშვილმა და თამარ ანიაშვილმა.

ტინისხიდელი კოლმეურნეები სახლებში წავიდნენ იმ რწმენით, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას ოხვი სტალინური მოსავლის მოსაყვანად.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1948 წელს

(საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მე-7 პლენუმი)

26 მარტიდან 1 აპრილამდე მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **სიმონ ჩიქოვანმა.**

პლენუმმა განიხილა საკითხი „ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1948 წელს". მოსმენილ იქნა მოხსენებანი პოეზიის, პროზის, დრამა[illegible]

მომხსენებელი ვრცლად მიმოიხილავს კ. გამსახურდიასა და ლ. ქიაჩელის აღნიშნულ რომანებს, მკაფიო მაგალითებით ასაბუთებს მათს დიდ ლიტერატურულ ღირსებას, ამავე დროს მიუთითებს ზოგიერთ ნაკლოვანებაზე. მომხსენებელი ერთმანეთს უპირისპირებს კ. გამსახურდიასა და ლ. ქიაჩელის სამწერლო მუშაობის მეთოდებს, მათს ლიტერატურულ პრინციპებს.

შემდეგ ამხ. შენგელაია ეხება კ. ლორთქი[illegible]

[illegible] ნაწარმოებნი. დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე საბავშვო პიესებზე.

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში მომხსენებელს ერთ-ერთ ნაკლად მიაჩნია ის, რომ ამ საქმეში ჩაბმული არაა მწერალთა ძირითადი კადრები. მომხსენებელი მოითხოვს, რომ საბავშვო ლიტერატურის შექმნაში მწერლებს გარდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეცნიერმა მუშაკებმა, ისტორიკოსებმა, [illegible]

[illegible] კოსთა ახალ ნაწარმოებებს და მათ შორის მის მოთხრობა „აბესალომ მუხიგულს".

შ. ალხაზიშვილი შეეხო საბჭოთა ესთეტიკის საკითხებს და გააკრიტიკა მ. დუდუჩავას წიგნი „ხელოვნების საკითხები". მისი აზრით, ამ წიგნში ავტორი ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციებზე დგას.

ი. სიხარულიძე სამართლიანად გამოთქვამდა გულისტკივილს იმის შესახებ, რომ ქართული [illegible]

[illegible] დებას ეტყობა დეკადენტურ-ფორმალისტური მიმართულების ერთგვარი გავლენა. ამას ადასტურებს ახლახან გამოსული ახალგაზრდა მწერლების კრებული.

მიხ. მრევლიშვილი პლენუმის ყურადღებას ამახვილებს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა მიმართვაზე ქართველი მწერლებისადმი, სადაც ისინი მოითხოვენ ინდუსტრიულ თემაზე დაწერილ მა[illegible]

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1948 წელს

(დასასრული)

ღალმხატვრულ ნაწარმოებებს. ეს მიმართვა ქართველ მწერლებს ავალდებულებს უახლოეს დროში შექმნან ჩვენი მუშების ცხოვრების ამსახველი დიდი ნაწარმოებნი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. დოლიძემ** ქართველი მწერლების წინაშე მთელი რიგი აქტუალური, სადღეისო საკითხები დააყენა. იგი შეეხო კვალიფიციურ მწერალთა მონაწილეობის აუცილებლობას მაღალმხატვრული ლიბრეტოების და საესტრადო რეპერტუარის შექმნის საქმეში. ამხ. დოლიძემ მწერალთა ყურადღება მიაპყრო ისეთ მტკივნეულ და აქტუალურ საკითხს, როგორიცაა თანამედროვე თემებზე პირველხარისხოვან დრამატულ ნაწარმოებთა შექმნა. მან ილაპარაკა აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის ორიგინალური პიესების შექმნის საკითხზე, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა უფრო მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაზე.

კ. გამსახურდია შეეხო თანამედროვე ქართული პროზის აქტუალურ პრობლემებს.

ი. მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ს. ჩიქოვანის ზოგიერთი ფორმალისტური ლექსების კრიტიკას დუმილით შეხვდა თვით პოეტი, რაც გაკვირვებას იწვევს.

— ჩვენს პლენუმს, — ამბობს ამხ. **ს. ჭილაია**, — წინ უძღოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გამოქვეყნება, როგორიცაა გაზეთ „პრავდისა" და „კულტურა ი ჟიზნის" სარედაქციო სტატიები და ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე, რომლებმაც ქართველ მწერალთა წინაშე დიდი საბრძოლო ამოცანები დასახეს. ამ დოკუმენტებმა განსაზღვრეს ჩვენი პლენუმის მუშაობა. ამხ. ჭილაიამ აღნიშნა, რომ პლენუმი ძირითადად მიმდინარეობს პრინციპული, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. მან მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად დადებითი შეფასება მისცა წარმოდგენილ მოხსენებებს.

ამხ. ჭილაიამ ყურადღება გაამახვილა როგორც მომხსენებლების, ისე კამათში გამოსული ამხანაგების მიერ მწვავედ დაყენებულ საკითხზე დეკადენტობის, უიდეობისა და ფორმალიზმის მავნე გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სალიტერატურო კრიტიკის მუშაკებმა ძირშივე უნდა აღკვეთონ კოსმოპოლიტიზმის — უცხოეთის გავლენათა გადაჭარბებით შეფასების მცირედი გამოვლინებაც კი. ჩვენმა მოწინავე მეცნიერებმა, რომლებსაც აქვთ მსგავს შეცდომათა რეციდივები, უნდა გადასინჯონ თავიანთი ნაშრომები და ახლო ხანში შესძლონ ამ შეცდომათა გამოსწორება.

დასასრულ ამხ. ჭილაიამ ქართველ მწერლებს ერთხელ კიდევ მოაგონა პარტიის მე-14 ყრილობაზე ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის მოწოდება იმის შესახებ, რომ ახლო ხანში შეიქმნას ომის შემდგომი ხუთწლედის გმირული შრომის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი ლიტერატურის ყველა ჟანრისა, რომ ლიტერატურის ახალ კადრებს შევუქმნათ ნორმალური შემოქმედებითი მუშაობის პირობები.

ს. ჩიქოვანი აღიარებს თავის შეცდომებს, რომლებიც მან დაუშვა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში" გამოქვეყნებულ ლექსებში და სავსებით იზიარებს ამ ლექსების კრიტიკას, რასაც გაზეთ „კომუნისტის" სარედაქციო წერილი შეიცავს. იგი თავის სიტყვაში დიდ ადგილს უთმობს აფხაზეთის, აჭარის და ქუთაისის მწერალთა განყოფილებების მუშაობას და აღნიშნავს საქართველოს მწერალთა კავშირის ჯერ კიდევ არასაკმაო დახმარებას მათდამი. ამხ. ჩიქოვანმა დაასახელა მიხ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა", ო. ჩხეიძის „ხელეური", ს. კლდიაშვილის ნოველა „დაბრუნება", ს. თავაძის ახალი რომანი „მაისის განთიადი", ა. ლომიძის ახალი მოთხრობები და სხვები, რომლებიც დ. შენგელაიამ თავის მოხსენებაში მსჯელობის საგანი არ გახადა.

ამხ. ჩიქოვანმა ილაპარაკა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაზე, განსაკუთრებით პროზის ახალგაზრდა კადრებზე, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოვიდნენ ლიტერატურაში. ის ასახელებს ვ. თორდუას, ო. დგებუაძეს, ნ. აბაშიძეს, ვ. ბუაჩიძეს, და სხვ., რომლებმაც გამოამჟღავნეს ნიჭი და უნარი. მათ სჭირდებათ დახმარება და ხელმძღვანელობა. ამხ. ჩიქოვანმა გააკრიტიკა კ. ჭიჭინაძის მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, მ. დუდუჩავას წიგნის „ხელოვნების საკითხების" ზოგიერთი არასწორი შეხედულებანი, აგრეთვე გ. აბაშიძის პოემები „ზარზმის ზმანება" და „ფოლადის აკვანი".

გრ. აბაშიძე შეეხო ობიექტური კრიტიკის აუცილებლობას. მან არ გაიზიარა ს. ჩიქოვანის შეხედულება თავის პოემებზე და რამდენიმე მაგალითი მოიყვანა ამ შეხედულების უარსაყოფად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **ქ. ბობოხიძემ, ს. კლდიაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, ვ. გორგანელმა, ი. აბაშიძემ, ა. ფაღავამ, თ. დონჯაშვილმა და კ. ჭიჭინაძემ.**

საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ **კ. კალაძე, დ. შენგელაია და ა. გომიაშვილი,** რომლებმაც მთელი რიგი შენიშვნები გააკეთეს პლენუმის მიმდინარეობისას წამოჭრილ საკითხებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **რ. შადურმა.**

დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია.

მშვიდობის დაცვისათვის ბელგიის ეროვნული კონგრესი

ბრიუსელი, 4 აპრილი. (საკდესი). „მშვიდობის დაცვისათვის ბელგიელ ქალთა კავშირის" ინიციატივით მოწვეულ ბელგიის ეროვნულ კონგრესს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სახელით მიესალმა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ეჟენი კოტონი.

ეჟენი კოტონმა თავისი სიტყვა უძღვნა იმ ქალთა საქმიანობას, რომლებიც იბრძვიან ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების მიერ ახალი მსოფლიო ომის მომზადების წინააღმდეგ. კოტონი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა ქალების აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის და მოუწოდა ბელგიელ ქალებს მიბაძონ მათ მაგალითს.

კონგრესის მონაწილენი „მარსელიოზის" მღერით მიესალმნენ კოტონის გამოსვლ

კონგრესმა მოიწონა „მშვიდობის დაცვისათვის ბელგიელ ქალთა კავშირის" მდივნის ბრენფოს ყველა წინადადება და ბელგიელ ქალებს მოუწოდა იბრძოლონ მშვიდობისათვის, ამხილონ ატლანტიკის პაქტის აგრესიული ხასიათი, იბრძოლონ ბელგიის მთავრობის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ომის მომზადებასთან.

კონგრესმა მუშაობა დაამთავრა.

შარკის გამოსვლა მასობრივ მიტინგზე

სიდნეი, 4 აპრილი. (საკდესი). 5.000-ზე მეტი კაცი შეიკრიბა გუშინ სიდნეიში გამართულ მასობრივ მიტინგზე ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის შარკის სიტყვის მოსასმენად. მას შემდეგ, რაც საგანგებო ფედერალურმა სასამართლომ 30 მარტს იგი პასუხისგებაში მისცა ეგრეთწოდებული „ბუნტარული ხასიათის აზრებისათვის", რასაც თითქოს შეიცავდა მისი გამოსვლა მორის ტორეზის განცხადების მხარდასაჭერად, შარკი რამდენიმე მიტინგზე გამოვიდა ახალი სამხრეთი უელსის შტატის სამრეწველო ცენტრებში.

გუშინდელ მიტინგზე, რომლის მონაწილენიც გულთბილად მიესალმნენ შარკის, უკანასკნელმა განაცხადა, რომ „რეაქციული წრეებისა და ოფიციალურ ხელისუფალთა გალაშქრება ავსტრალიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ფაქტიურად დემოკრატიულ თავისუფლებათა წინააღმდეგ შეტევაა, რაც წარმოებს ომისათვის მზადების წესით".

როგორც შემდეგ შარკიმ განაცხადა, არის იმის ნიშნები, რომ საქმიანობა განაახლა ავსტრალიის ყოფილმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ, რომელსაც „ახალი გვარდია" ეწოდება. შარკიმ მთელი რიგი მაგალითები მოიყვანა, რომ რეაქციული წრეები აწყობენ ჯგუფებს, რათა ფაშისტური მეთოდით ჩაშალონ მუშების მიერ მშვიდობის დასაცავად გამართული მიტინგები. მან განაცხადა: „ავსტრალიელი მუშები უკან არ დაიხევენ დაშინების გამო და მხარს დაუჭერენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მოძრაობას".

მიტინგზე გამოვიდნენ პროფკავშირებისა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მუშები აღშფოთებული არიან შარკის პოლიტიკური დევნით, რაც ოფიციალურმა ფედერალურმა ხელისუფლებმა დაიწყეს.

„დეილი უორკერი" გმობს საბჭოთა პროფკავშირების X ყრილობაზე მიწვევის უარყოფას ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს მიერ

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" მკვეთრად გმობს იმას, რომ ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ უარყო საბჭოთა პროფკავშირების მიწვევა ყრილობაზე დასწრების შესახებ და სარედაქციო სტატიაში წერს:

„ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს მიზანი როდიღაა მთელი მსოფლიოს მუშათა პროფკავშირული სოლიდარობის განვითარება. პირიქით, ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭო ცდილობს გათიშვა შეიტანოს მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის რიგებში".

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მიწვევის უხეში უარყოფა მოჰყვა ასეთსავე მკვეთრ უარს — დასწრებოდნენ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობას, რომელიც 1948 წელს შედგა, და განაგრძობს: „მიზანი ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოსი, რომელიც შეუერთდა ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ანტისოციალისტურ ლიდერებს, ის არის, რომ შექმნას გამთიშველი პროფკავშირული „ინტერნაციონალი", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მორჩილი იარაღი იქნება".

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

რომი, 3 აპრილი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმის საბოლოო სხდომაზე მოხსენება „კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციული საკითხები" გააკეთა კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ლონგომ.

გაზეთი „უნიტა" შემდეგ კომუნიკეს აქვეყნებს იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

„კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 29, 30 და 31 მარტის სხდომებზე განიხილა მდგომარეობა და კომუნისტების წინაშე მდგომი ამოცანები მშვიდობისა და მშრომელთა ხელშეუვალი უფლებებისათვის ბრძოლაში.

ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა დეპუტატთა პალატისა და სენატის კომუნისტური ჯგუფების ენერგიული ეფექტიანი მოქმედება ომის გაჩაღების იმ პოლიტიკის გამოსააშკარავებლად, რომელსაც აწარმოებენ დე გასპერის მთავრობა და იტალიელი და უცხოელი იმპერიალისტების ჯგუფები.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხელ კიდევ მოუწოდა ხალხსა და პარტიას გაითვალისწინონ მდგომარეობის სერიოზულობა და მოსალოდნელი ომის საფრთხე. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მისი ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს იმ ძალების გაერთიანებულ ფრონტში, რომლებსაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თავიანთი დარაზმულობითა და თავიანთი მოქმედებით შეუძლიათ იხსნან საყოველთაო მშვიდობა.

ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ დაადასტურა იტალიის კომუნისტებისა და მშრომელთა სრული სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც თავისი მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკით ერთხელ კიდევ უჩვენებს ხალხებს ძმობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზას.

პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები იმისათვის, რომ თავიანთი საქმიანობა ამ ამოცანებს დაუქვემდებარონ და უაღრესად ფართოდ შეუწყონ ხელი — წარმოებაში, სოფლად და ქალაქების ქუჩებში — ყოველ ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ფენისა და რწმენის მოქალაქეთა დარაზმვას იმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ უცხოელთა სამსახურში მყოფმა ჯგუფებმა ახალ სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიონ იტალია.

სახალხო მანიფესტაციები, რომლებშიც მილიონობით მოქალაქენი მიიღებენ მონაწილეობას, დაამტკიცებენ იტალიელი ხალხის უმრავლესობის მიერ დაგმობილ ომის გამჩაღებელთა იზოლირებას და წინააღმდეგობას გაუწევენ იმ პოლიტიკურ პროვოკაციებს, რომელთა საშუალებითაც მთავრობას იმედი აქვს დაუსჯელად დაარღვიოს რესპუბლიკური კანონიერება.

ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები და პარტიის მუშაობა და ყველა პარტორგანიზაციას მოუწოდა გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა ყველა დარგში. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიის ძალა და გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად პარტიის იმ წევრთა რიცხვი, რომლებმაც ხელახალი რეგისტრაცია გაიარეს, აღემატება წევრთა რიცხვს, რაც შარშან ამ დროს იყო. პარტიული პრესის ყველა გამოცემის ტირაჟი განუწყვეტლივ დიდდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომ მოეწყო გაზეთი „უნიტას" კვირაობით გაყიდვა; მისმა ტირაჟმა 1.200.000 ცალს გადააჭარბა. ამჟამად მიმდინარე მუნიციპალური და პროფკავშირული არჩევნები მოწმობენ კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის ზრდას.

კომპარტიის მზარდი გავლენა და დარაზმულობა უფრო მწვავე ბრძოლის პირობებში — იმ მერყეობისა და წინააღმდეგობისაგან განსხვავებით, რასაც სხვა პარტიებში, უმთავრესად მთავრობის კოალიციის პარტიებში, ვხედავთ, მოწმობს ჩვენი პოლიტიკური გზის სისწორეს და ხალხის მასების ნდობას.

ეკონომიური მდგომარეობისა და პროფკავშირული საკითხების საფუძვლიანმა განხილვამ შესაძლებელი გახადა ამ პრობლემების სხვადასხვა მხარის გაშუქება. დანიშნულია კომისია რეზოლუციის შესამუშავებლად, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება ცენტრალური კომიტეტის მიერ იმ ბრძოლის დარგში დასახული გეზი, რომელსაც პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებს ყველა მშრომელი ხელფასის აუცილებელი გადიდებისათვის, შრომის უფლებისათვის, იმ სოციალურ რეფორმათა განხორციელების მოთხოვნისათვის, რომლებიც დადასტურებულია კონსტიტუციით და რომლებიც მოწოდებული არიან რესპუბლიკური დემოკრატიის გამოხატულებას წარმოადგენდნენ.

პარტიის ხელმძღვანელობის წინადადებით ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა აღდგენილ იქნას სახელოვანი „ახალგაზრდული კომუნისტური ფედერაცია", რათა იგი კვლავ იყოს ორგანიზაცია, ხელმძღვანელი და სკოლა ახალგაზრდობისა, რომელიც ისწრაფვის იბრძოლოს სოციალიზმის დროშით მშრომელთა განთავისუფლებისათვის და ახალი მსოფლიოს შექმნისათვის".

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის

დამთავრდა მშვიდობის მომხრეთა ბულგარეთის კონგრესი

სოფია, 4 აპრილი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მომხრეთა ეროვნულმა კონგრესმა. კონგრესმა მოისმინა სოფიის უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს გიორგი ნაჯაკოვის მოხსენება „მშვიდობისათვის ბრძოლა და მასში ბულგარელი ხალხის მონაწილეობა" და ბულგარეთის ქალთა სახალხო კავშირის თავმჯდომარის ცოლა დრაგოიჩევას მოხსენება მშვიდობისათვის ბრძოლაში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

კონგრესზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს, საყოველთაო მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭოს, ბულგარეთის სლავთა კომიტეტის, მიწათმოქმედთა საყოველთაო პროფკავშირის, სახალხო ახალგაზრდობის კავშირის, ბულგარელ მწერალთა კავშირის, მეცნიერ მუშაკთა კავშირის, მსახიობთა კავშირის, მხატვართა კავშირის, ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირის, მღვდელთა კავშირის წარმომადგენლებმა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა და სხვ.

კონგრესის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს სსრ კავშირის ხალხთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ გიორგი დიმიტროვისადმი და მშვიდობის დაცვისათვის კულტურის მოღვაწეთა კავშირის საერთაშორისო კომიტეტისადმი მისასალმებელი დეპეშები.

ერთსულოვნად მოწონებულ იქნა ტექსტი ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ საპროტესტო დეპეშისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან ტრიუგვე ლისადმი. შემდეგ არჩეულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე გასაგზავნი დელეგაცია 24 კაცის შემადგენლობით. ყველა დელეგატის მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ახალი ომის მომზადებას და მიესალმება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევას.

კონგრესის დახურვის შემდეგ ყველა მისმა დელეგატმა მონაწილეობა მიიღო მშვიდობის დაცვისათვის სოფიის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილ გრანდიოზულ მიტინგში. მიტინგზე შეიკრიბა 200 ათასზე მეტი მშრომელი. დემონსტრანტთა კოლონებით აივსო მოედანი სახალხო თეატრის წინ და მისი მომიჯნავე ქუჩები. დემონსტრანტებმა თან მოიტანეს გენერალისიმუს სტალინისა და დიმიტროვის პორტრეტები. მიტინგის მონაწილეებს მოჰქონდათ მრავალი ტრანსპარანტი ლოზუნგებით: „ძირს ატლანტიკის პაქტი!", „მშვიდობის იმედი მოსკოვიდან მოდის!", „ყველანი მშვიდობისათვის საბრძოლველად!".

მიტინგზე პატარა ბავშვებიანად მოსულ ქალთა ჯგუფს მოჰქონდა ლოზუნგი: „დედებს ომი არ სურთ!".

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამენ სოფიის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას მთელი ძალღონით დაიცვან მშვიდობა და ხალხთა შორის თანამშრომლობა.

მიტინგის შემდეგ მისმა მონაწილეებმა დედაქალაქის ქუჩებში მოაწყვეს გრანდიოზული მანიფესტაცია, რომელმაც მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგით ჩაიარა.

ასოციაცია „საფრანგეთი-სსრ კავშირი" ილაშქრებს ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციამ გაილაშქრა ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ. კომიტეტმა დაგმო იგი როგორც ჩვენი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული პაქტი".

„საფრანგეთ-სსრ კავშირის" ეროვნულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ყოველი ღონე იხმაროს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წარმატების უზრუნველსაყოფად.

დამკვიდრებული ხელისუფლების გერმანიის ეკონომიური კომისიის დადგენილება კულტურული მშენებლობის საკითხებზე

ბერლინი, 4 აპრილი. (საკდესი). გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელმა და საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა არმიის გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა დაამტკიცა გერმანიის ეკონომიური კომისიის დადგენილება „გერმანული მეცნიერებისა და კულტურის დაცვისა და განვითარების, ინტელიგენციის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის ამაღლების შესახებ".

გერმანიის მხარეების საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის სამმართველოთა უფროსებს, ბერლინის საბჭოთა სამხედრო კომენდანტსა და საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ყველა ორგანოს დაევალა საჭირო დახმარება გაუწიონ გერმანიის დემოკრატიულ ორგანოებს და მხარი დაუჭირონ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც გათვალისწინებულია გერმანიის ეკონომიური კომისიის დადგენილებით.

მაქს რაიმანის გამოსვლა ნიურნბერგში

ბერლინი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის" კორესპონდენტი იუწყება, ნიურნბერგში მასობრივ მიტინგზე გამოსულმა დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა განაცხადა: „ატლანტიკის პაქტი ომის გამჩაღებელთა — ამერიკელ იმპერიალისტთა შეთქმულებაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ. იგი დადებულია იმ მიზნით, რომ შეაფერხონ ახალი დემოკრატიის განვითარება ევროპაში და განახორციელონ აგრესიული ომი საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების წინააღმდეგ. ატლანტიკის პაქტი დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ევროპის ყველა ხალხისათვის, იგი განსაკუთრებით საშიშია გერმანელი ხალხისათვის".

პროტესტი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ფილადელფიიდან იუწყება, რელიგიურმა ორგანიზაციამ „მეგობართა საზოგადოებამ" მოიწონა რეზოლუცია, რომლითაც გმობს ჩრდილო ატლანტიკის პაქტს, რომელიც „აღრმავებს მსოფლიოს გაყოფას ორ მეტოქე ბანაკად". რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს მთავრობას ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ გამონახოს საფუძველი საბჭოთა კავშირთან „ცივი ომის" შესაწყვეტად. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ქვეყანას ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან იმ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნით, რომელიც მოსპობას უქადის ცივილიზაციას, აძლიერებს ომის საფრთხეს და ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონცეფციას „ერთიანი მშვიდობის" შესახებ.

ხელი მოაწერეს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებას

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ნაშუადღევს გაიმართა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია. ხელშეკრულების ხელმოწერის წინ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა წარმოთქვეს მოკლე სიტყვები, და ცდილობდნენ ამ ხელშეკრულებით შექმნილი აგრესიული სამხედრო ბლოკი, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, წარმოედგინათ თითქოს „თავდაცვით ღონისძიებად".

უკანასკნელად სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ტრუმენმა.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

6 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მოეწყობა კონსულტაცია თემაზე: **„ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883-1901 წლები)".**

კონსულტანტები: ამხ. **ნოღიანისი** და ამხ. **კალაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დასასვენებელი სახლი სამამულო ომის ინვალიდებისათვის

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია თბილისის პირველ სასწავლო-საწარმოო კომბინატს. მისი მიზანია შრომისა და სამამულო ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახებს შეასწავლოს პროფესიები. გარდა ამისა, კომბინატი ყოველწლიურად დიდძალ სამრეწველო პროდუქციას უშვებს.

აქ ორგანიზებულია ფეხსაცმლის, შეკერილი ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის, ავეჯის, საფეიქრო და სხვა ფართო მოხმარების საქონლის 11 სახელოსნო, სადაც ინვალიდებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ პროფესიებს.

კომბინატში საუკეთესო პირობებია შექმნილი მოსწავლეთათვის. ისინი უზრუნველყოფილი არიან ბინებით და სტიპენდიით. მოსწავლეთა და მუშათა საბინაო პირობების უფრო გაუმჯობესების მიზნით აქ შენდება საერთოსაცხოვრებლიანი სახლი, სადაც მოთავსდება აგრეთვე კომბინატის სახელოსნოები. წელს კომბინატის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მოსწავლეებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის მოაწყოს დასასვენებელი სახლი, სადაც ერთდროულად 30 კაცი დაისვენებს. საამისოდ უკვე გამოყოფილია შენობა, შესრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები. დასასვენებელი სახლი გაიხსნება მიმდინარე საკურორტო სეზონის დამდეგისათვის.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი გორელ ფიზკულტურელთა შეფი

გორი. (საკ. კორ.). ჩატარდა ფიზკულტურის მუშაკთა რაიონული შეკრება. შეკრებამ განიხილა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ბეთლემიძის მოხსენება რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

გორის რაიონში 8.000-ზე მეტი ფიზკულტურელია. სოფლადგილებში ფიზკულტურულ მუშაობას მრავალი საქმე აქვს. ეს საქმე ცუდად არის დაყენებული სოფელ ძევერის, ზერტის, ზეღდულეთის, ქვემო ნიქოზის, მერეთის, აძვის და ახალუბნის საშუალო სკოლებში.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 11 კაცი — მათ შორის გორის პედინსტიტუტის დირექტორი ამხ. გ. ხარაული. საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. დოიჯაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. კვაჰახაძე და სხვ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. დ. იოსელიანი, რომელმაც განაცხადა, რომ ინსტიტუტი შეფობას კისრულობს ბელადის სამშობლო რაიონის ფიზკულტურელებზე, დაეხმარება მათ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაჩაღებაში.

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები

ნებაყოფლობითი დასაზღვევის წესით აზღვევენ

საოჯახო ქონებას:

ავეჯს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
მუსიკალურ ინსტრუმენტებსა და სხვას,
აგრეთვე პროდუქტებისა და სათბობის მარაგს, საშენ მასალას.

სახელმწიფო დაზღვევა ანაზღაურებს

ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრითა და სხვა სტიქიური უბედურებით, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ქონების მოპარვითა და დაკარგვით გამოწვეულ ზარალს.

დააზღვიეთ საოჯახო ქონება!

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციებს ან აგენტებს.

სახელმწიფო დაზღვევის საქართველოს სსრ სამმართველო.

ა. წ. 25 აპრილიდან ქობულეთში იხსნება სარეწაო კოოპერაციის დამზღვევ სალაროთა კავშირის დასასვენებელი სახლი. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ გადარიცხვით შეიძინონ საგზურები თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება საქსარეწდამზღვევ სალაროთა კავშირში. მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 2, ტელეფონი № 3-53-86.

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	6-IV	„აიდა"	3 აბ. 11 ნარჩ.
	7-IV	„გედის ტბა"	5 აბ. 11 ნარჩ.
რუსთაველის სახელობის	6-IV	„პირველი ნაბიჯი"	აბ. გარეშე
	7-IV	„ჩაქრული ქვები"	13 აბ. 8 ნარჩ.
მარჯანიშვილის სახელობის	6-IV	„ნინოშვილის გურია"	18 აბ. 7 ნარჩ.
	7-IV	„ცეკვის მასწავლებელი"	19 აბ. 7 ნარჩ.
მუსიკალური კომედიის	6-IV	„სილვა"	4 აბ. 9 ნარჩ.
	7-IV	„ჩემი გიუზელი"	6 აბ. 8 ნარჩ.
მოზარდ მაყურებელთა ქართული	6-IV	„მირანდოლა"	57 აბ. 7 საათ
	7-IV	„მირანდოლა"	62 აბ. 6 საათ

მე-6 შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

მოქალაქე **გიორგი ტერენტის-ძე უენიამ,** მცხოვრებმა ენგელსის ქ., № 52, აღძრა საქმე ქ. მოსკოვში, ფრუნზეს რაიონი, მალეაკოვჩის ქ. № 7, კორპუსი 5, ბინა 213 მცხოვრებ მოქალაქე **ნადეჟდა ეფიმეს ასულ ზელიონნოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს

თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა

აცნობებს ყველა საწარმო-დაწესებულების, ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა იღებს კაპიტალური შეკეთებისათვის საბარგო ავტომანქანებს: „ზის-5, „გაზ-მმ" და „გაზ-აა".

ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ჩაბარებული აქვს შესაკეთებლად ავტომანქანები, ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს შეკეთებული მანქანები.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, ღრმაღელე, მექანიზაციის ქ. № 1. თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის გასაღების განყოფილება. ტელეფონი № 3-00-61.

პ. გერსამია, კ. კობახიძე, ვ. რუსაძე, მ. ჩიქოვანი, გ. იოსელიანი, გ. ლორთქიფანიძე, დ. კანდელაკი, ტ. იაშვილი, დ. ნიჟარაძე, გ. კიკნაძე, ზ. ჭაჭიაშვილი ოჯახებით იუწყებიან **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვალებას.

ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს და პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **ვახტანგ დავითის-ძე გუდიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-IV, 7 ს. გამოსვენება 7-IV, 6 ს. ფალიაშვილის, 36.

რკინიგზის საავადმყოფოს ტროპიკულ სნეულებათა კლინიკის მედპერსონალი იუწყება ექიმ **ერმალოზ ქრისტეფორეს-ძე აბულაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **ერმალოზ ქრისტეფორეს-ძე აბულაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნ. აბულაძეს და პ. კაპანაძეს ექიმ **ერმალოზ აბულაძის** გარდაცვალების გამო.

„ჩითახევჰესის" მშენებლობის სამმართველო იუწყება ვ. ბოკერიას მამის **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV ქ. ქუთაისში.

მეუღლე მიხეილ, შვილები ლუდმილა, სანდრო, ფილიპე, სიმონ, ბესარიონ, საშა ოჯახებით, შვილიშვილი შერგილი იუწყებიან **ნატალია შონიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-IV, ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი).

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV ქუთაისში.

დედა მინადორა, და ტერეზი, ძმა ვარლამ ოჯახებით იუწყებიან **შალვა მიხეილის-ძე ქარქაშაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-IV, 5 ს. ორჯონიკიძის, 12.

მეუღლე ანა, შვილები ზამირა და რარა იუწყებიან **შალვა მიხეილის-ძე ქარქაშაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-IV, 7 ს. გამოსვენება 7-IV, 5 ს. ორჯონიკიძის, 12.

ლ. ქურდიანი, ტ. დიასამიძე, ე. მოდებაძე, მ. ბერიძე, ქ. ბახტურიძე, ვ. გაბაშვილი, ვ. კურცხალია, ა. სალარიძე, ქ. თოფურია, მ. გედევანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თ. აბულაძეს მისი მამის **ერმალოზ აბულაძის** გარდაცვალების გამო.

შვილი სანდრო, რძალი ვარდო, შვილიშვილები ფაცია, ვანო, მარგარიტა, ქეთო, ცისანა, რძალი გულნარა, სიძეები შენგელია, ალექსიშვილი, სანაძე შვილებით იუწყებიან **ნატალია შონიას** გარდაცვალებას.

ნინო, სოფო, ივანე, თამარ, გიორგი, ნიკო ტარასაშვილები ოჯახებით, იოსებ, მარიამ დავითაშვილები იუწყებიან სიძის ექიმ **ვახტანგ დავითის-ძე გუდიაშვილის** გარდაცვალებას.

შვილი ციალა, დედა ფედოსი და თამარ, მამამთილი მელიტონ, მულები დარიკო, ანგელინა იუწყებიან **სონია ერასტის ასულ მეაფარიანი-ნინიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-IV, 7 ს. გამოსვენება 10-IV, 3 ს. ერისთავის, 14.

ძმა ლადო, ბიძაშვილები ივანე, ნიკოლოზ, მიხეილ, თამარ, სოფიო, მარიამ, ოლია გუდიაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ვახტანგ დავითის-ძე გუდიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV, 6 ს. ფალიაშვილის, 36.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3 06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3 81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მთრიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 130.000 უე 00737